ხალხის მიდრეკილება ხელოვნებისადმი.[1] ინგლისელები ფრიად ნიჭიერი და განათლებული ხალხია, ცალკეული ინგლისელი „ღრჭა ბუნების პატრონია და თავისი ჩამომავლობით და სამშობლოთი ამპარტავნობს“.[2] ინგლისელთა შორის დიდად ფასობს „გარეგანი რიგიანობა, შინაგანი სიფაქიზე, სულის ღირსეულობა“ (ჯენტლმენობა)[3]. „ბუნების კარში“ აღნიშნულია ინგლისელის ერთი კონკრეტული თვისება: „მას მაგდენ არაფრად მიაჩნია ის, თუ სხვა რა აზრისაა მასზე, ამიტომ სრულიადაც არ სცდილობს სხვას თავი მოაწონოს: სამაგიეროდ, დიდად აფასებს თავისს საკუთარს აზრს თავის პიროვნებაზე და ცდილობს დაიმსახუროს თავისი საკუთარი პატივისცემა. ამიტომ ერიდება ყოველს ცუდსა, რასაც კი შეუძლიან დაამციროს იგი საკუთარს თვალში“.[4] ამერიკელთა (აშშ-ის მცხოვრებთა) მიმართ აღნიშნულია შემდეგი თვისებები: დაუღალავი შრომა, საარაკო გარჯილობა, მხნეობა, დროის დაფასება.[7] წიგნში ხაზგასმულია იაპონელთა ნიჭიერება,[6] ჩინელთა შრომისმოყვარეობა.[7]

ერის აღზევებულობა-დაცემულობაზეა დამოკიდებული თითოეული ინდივიდის თვისებებიც. იაკობ გოგებაშვილი წერდა: „ანთეოზისავით ძლიერია მთელი ერი საზოგადოდ და ყოველი ადამიანი კერძოდ, ვიდრე იგი მტკიცედა სდგას ეროვნულს ნიადაგზედ; ხოლო მასავით სუსტდება და იღუპება, როდესაც იგი შორდება ამ ნიადაგსა და სწყვეტს მასთან განმაცხოველებელ კავშირს“. ეროვნულ ნიადაგში კი იგულისხმება იმ პირობათა ერთობლიობა, რომელთაც უკვე მივუთითებდით.

დასასრულ, დავძენთ იმასაც, რომ იაკობ გოგებაშვილი აშკარად გამოკვეთავდა ერის დიდ ფასეულობას როგორც თავისთავად და ასევე ცალკეული ადამიანების ცხოვრებაში, ისე მთელი კაცობრიობისათვის. იგი. გავიმეორებთ, ასე წერდა: „...ერის გადაგვარება და გაქრობა მარტო მის კერძო უბედურებას როდი შეადგენს; იგი

[1] ბუხების კარი, გვ. 620.
[2] იქვე, გვ. 622—623.
[3] იქვე, გვ. 623—624.
[4] იქვე, გვ. 623.
[5] იქვე, გვ. 626.
[6] იქვე, გვ. 628.
[7] იქვე, გვ. 625.

ნამდვილი დანაკლისია თვით კაცობრიობისათვისაც, რომელსაც ამითი აკლდება ერთი თავისი ნაწილი ანუ წევრი, უშრება ერთი იმ წყაროთაგანი, რომელნიც ავსებენ შეერთებულად კულტურის მსოფიო ზღვასა... შესწყდა რომელიმე ერის ხმა? გაღარიბდა კაცობრიობის ხოროს ჰარმონია, შესუსტდა მსოფლიო ღაღადისი, დანაკლულდა ზღვა თავისებურებისა, მოაკლდა ერთი თავისებური ლალი კაცობრიობის კულტურის დიდებულს სალაროსა“.[1]

როგორც დავინახეთ, ილიასა და იაკობ გოგებაშვილის შეხედულებანი ეროვნულ საკითხზე ფასეულია არა მხოლოდ იმ დროის თვალთახედვით, არამედ დღევანდელობისათვისაც. მათი ნააზრევი კარგად წარმოაჩენს ქართული საზოგადოებრივი აზროვნების იმდროინდელ მაღალ დონეს და თავის მხრივ სოლიდური საფუძველია ერის კონცეფციის შემდგომი (თანამედროვე პირობების შესაფერისად) კვლევა-ძიებისათვის.

3. აკაკი წერეთლის აზრები ერის შესახებ

როგორც ილიასა და იაკობ გოგებაშვილის შეხედულებების თაობაზე შევნიშნავდით, მათ არ დაუტოვებიათ სპეციალური ნაშრომები ეროვნული საკითხის შესახებ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მათ ნაწერებში აშკარად გამოიკვეთა შესაბამისი თემატიკა. მათი ცალკეული გამონათქვამების თავმოყრით კარგად წარმოჩინდება საკითხის მათეული გაშუქება. იგივე ითქმის აკაკი წერეთლისა და ვაჟა-ფშაველას ნააზრევის შესახებაც. განსაკუთრებით უხვ მასალას იძლევა მათი პუბლიცისტური წერილები. ასე რომ, სამოციანელთა მიერ ეროვნული საკითხი ვრცლად, მონოგრაფიული სახით არ გაშუქებულა. ეს მოხერხდა არჩილ ჯორჯაძისა და განსაკუთრებით მიხაკო წერეთლის მიერ (მხედველობაში გვაქვს ამ უკანასკნელის „ერი და კაცობრიობა“, რომელიც 1910 წელს გამოიცა), რაც შესაბამისი აზრის კანონზომიერი ევოლუცია იყო.

აკაკის ერი წარმოედგინა შემდგომი ნიშან-თვისებების ერთობლიობად: „სამშობლო მიწა-წყალი, ენა, ისტორია, და ერთნაირი თავგადასავალი“[2] და იქვე დასძენდა: „ეს დღეს საანბანო ჭეშმარ-

[1] ბურჯი ეროვნებისა, გვ. 60.
[2] თხზულებათა სრული კრებული თხუთმეტ ტომად, ტ. XIV, გვ. 395.

ტებაა და ვისაც ეს არ სწამს, ან გაუგებრობით მოსდის, ან კრიმანჭული განზრახვით და მაშასადამე, ორივე შემთხვევაში აღარ ღირს მასთან ამაზე საუბარი".[1] როგორც ვხედავთ, აკაკი აშკარად გახაზავს რიგ ნიშან-თვისებათა ერთობლიობას და არა მხოლოდ რელიგიას, როგორც ტრადიციულ აზროვნებაში მიაჩნდათ და რომლის რეციდივები აკაკის დროსაც კი შეინიშნებოდა. ამ კონტექსტში უპრიანია მისივე სიტყვები: „დღეს კი სულ სხვა თვალით უყურებენ ეროვნებას: შეიძლება მკვიდრი მაჰმადის სარწმუნოებისა იყოს, ან რომის თაყვანისმცემელი (იგულისხმება კათოლიციზმი — გ. ყ.), ან ბერიგორიანელი, ან სხვა რომელიმე რჯულის, მაგრამ მაინც ქართველი იყოს".[2] ირკვევა რომ აკაკი ამ საკითხში (მოვიგონოთ აგრეთვე ილიას მსგავსი აზრი აჭარლების მიმართ), დღევანდელ ზოგიერთ ქართველთაგან განსხვავებით, სავსებით სწორ და პოლიტიკურად გამართლებულ პოზიციაზე იდგა. რაც შეეხება ისტორიისა და ერთნაირი თავგადასავლის ცალ-ცალკე მოხმობას, ეს, ცხადია, არასწორია.

საქართველოს ბუნება, აკაკის აზრით, მხოლოდ ერთი, სავსებით განცალკევებული ფაქტორი კი არაა, არამედ თავის მხრივ, განმსაზღვრელია ეროვნული ხასიათისა. იგი წერდა: „მადლი შემოქმედს! საოცარია საქართველოს ბუნება და — საარაკოა იმისი ზეგავლენა. აუწონელია, გაუზომელი და მიტომაც ქართველი სულ სხვა გრძნობა-გონების მექონია".[3] საერთოდ, „ყოველ ხალხს თავისი განსაკუთრებული ხასიათი აქვს, მიხრა-მოხრა, გამოთქმის კილო, გამომეტყველება (შესაძლოა აქ რასა იგულისხმება — გ. ყ.) და სხვანი".[4] თითოეული ხალხის (ერის) ხასიათი განპირობებულია კვლავ გეოგრაფიული პირობებით. იგი წერდა: „თვითეულს ამ მხარეთაგანს სხვა-დასხვა ბუნების გავლენით, თავისი საკუთარი ხასიათი, ჩვეულება ზნე და საკუთარი ცხოვრების პირობები აქვს".[5] 1909 წელს იგივენაირ აზრს ამ სიტყვებით გამოსთქვამდა: „თვით ბუნება არაა ერთფეროვანი. ის სხვადასხვა ადგილას სხვადასხვანა-

[1] თხზ., ტ. XIV, გვ. 395.
[2] იქვე.
[3] იქვე, გვ. 542.
[4] თხზ., ტ. XII, გვ. 71.
[5] იქვე.

ირია და ამის მიხედვით სხვადასხვა კუთხეში მცხოვრები ერებიც სხვადასხვა ხასიათის და ზნე-ჩვეულებისაა"[1].

ერთი სიტყვით, ერის ხასიათის ახსნისას აკაკი გეოგრაფიული დეტერმინიზმის პოზიციაზე იდგა. მისი აზრით, ბუნება, გეოგრაფიული პირობები განსაზღვრავს არა მხოლოდ შესაბამისი ხალხის ხასიათს, არამედ „ცხოვრების პირობებსაც" კი. თვითონ ბუნებასთან ხალხი მექანიკურად როდია დაკავშირებული. მაგალითად, ქართველობა „იმ თავითვე შესისხლ-ხორცებული ვართ ჩვენს მიწა-წყალთან, ნათესავური კავშირია ჩვენს შორის და ამიტომაც იბრძოდენ და იცავდხენ ჩვეხი ძაძები, რომ ხელიდან არ გაეშვათ"![2]

საკუთრივ ქართველთა ხასიათი აკაკის შემდეგნაირად წარმოედგინა: „ქართველის ბუნება ცოტათი წააგავს ფრანცუზისას... — ფრანგი ქალი მდაბალი წოდებისაც რომ იყოს, მაინც შეუძლია, ხანმოკლედ შეიფეროს მედიდურობა, დარბაისლობა და ჰაეროვნება, რომელსაც ისინი „შიკს" ეძახიან".[3] ეს, როგორც ვხედავთ, აკაკის მიხედვით, ქართველთა მეორე ნახევარის თვისება ყოფილა, საერთოდ მთელი ქართველობის მიმართ კი იგი აღნიშნავდა: „ჩვენ, ქართველებმა, საზოგადოთ გადაჭარბება ვიცით ხოლმე"; „დიახ, საზოგადოთ გადაჭარბება ვიცით ხოლმე და მცირე დიდად გვეჩვენება"[4]. ქართველი, აკაკის შეხედულებით: „ჭირშიაც კი ლხინის შვილია, სულ იცინის, არ სტირის და თუ სტირის, ტირილშიაც იმღერის".[5] დიდი ეროვნული სიამაყის გრძნობით იგი დასძენდა: „მართლა იშვიათად მოიპოვება ხალხი, რომ ისეთის მაღალი გრძნობა-გონებით იყოს დაჯილდოებული, როგორიც არიან ქართველები";[6] „ბევრი ქვეყნები დამივლია, გავცნობივარ სხვადასხვა ერებს, შემიდარებია ქართველობისათვის, მაგრამ ბუნებრივ გრძნობა-გონების სისპეტაკეში უპირატესობა ჩვენზე არა მინახავს რა!"[7].

ქართული ხასიათის თვისება ხელოვნების სფეროშიც ჩანს.

[1] თხზ., ტ. XIV, გვ. 344.
[2] ტ. XII, გვ. 296.
[3] იქვე, გვ. 219.
[4] იქვე, გვ. 298.
[5] ტ. XIV, გვ. 542.
[6] იქვე, გვ. 568.
[7] იქვე, გვ. 319.

აკაკის თქმით „ქართულ ხმებსაც თავისი განსაკუთრებითი კილო აქვს, თავისი ეროვნული საიდუმლოება“ — „სულიკო“ დავაკვრე ვინოთ ჯერ უპირველეს მეფორტეპიანეს და მერე ბ-ნ ნ. ქართველიშვილს. პირველი აღტაცებაში მიგვიყვანს, მაგრამ მეორე, ქართველიშვილი, გულში გწვდებათ და გხიბლავს“;[1] „აი, სწორედ აქ მარხია ეროვნული საიდუმლოება და მისი ხელში დაჭერა შეუძლია მხოლოდ იმავე ერის შვილს“[2]. იგივეს თქმა შეიძლება მხატვრული ლიტერატურის თაობაზე: „ბ-ნი სუმბათაშვილი რომ ქართველი არ იყოს, „ღალატს“ ვერ დასწერდა“.[3]

მაგრამ არ უნდა წარმოვიდგინოთ, რომ აკაკის ქართული ეროვნული ხასიათი ყოველმხრივ უზადოდ მიაჩნდა, იგი ამასთანავე კრიტიკულიც იყო: „ქართველი, ისტორიულად მებრძოლი ხალხი, ხელდახელ პირდაპირობას არის ჩვეული და პირველი ბიჯი, სახელიო, სამერმისო საქმეზე ფიქრი კი ეჩოთირება“.[4] „ჩვენ, ქართველებს, ყოლიფერი გარეული მოგვწონს. სიტყვა „უცხო“, კარგს ნიშნავს „საუცხოვო“ საქებს. შინაური კი ცამდინაც რომ მაღალი იყოს, არაფრად მიგვაჩნია“.[5] ზემოთ ჩვენ მოვიტანეთ აკაკისეული აზრი ქართველთა მაღალ გრძნობა-გონებაზე, მაგრამ შემდეგ ვკითხულობთ: „მაგრამ ვაი, რომ ეს მათი (ე. ი. ჩვენი, ქართველების — გ. ყ.) უმაღლესი გრძნობა-გონება დღეს უკუღმართობაში გამოიხატება. ამ უკანასკნელ ხანებში არ გვეგულება სხვა ვინმე ხალხი, რომ ასე დაკნინებული იყოს და გადაუკუღმართებული, როგორც ქართველი“.[6] თუმცა „ჩვენში თითქმის ყველა ნიჭიერია, უნიჭო ანალგაზრდას იშვიათად შეხვდებით, მაგრამ რა გამოვიდა“.[7] ე. ი. აკაკის სწორი შეხედულებით, მხოლოდ ნიჭიერება ცალკეული ადამიანისა თუ მთელი ერისა როდია საკმარისი, ამასთანავე საჭიროა დიდი სიბეჯითე, შრომისმოყვარეობაც. აკაკისეული ეს შეგონება, ცხადია, დიდად აქტუალურია დღევანდელ ვითარებაშიც.

[1] თხზ., ტ. XIV, გვ. 454.

[2] იქვე.

[3] თხზ., ტ. XII, გვ. 454.

[4] იქვე, გვ. 463.

[5] იქვე, გვ. 468. ჩვენ ამ აზრს ვერ დავეთანხმებით. თუ ქართველობა ყველაფერ უცხოურს ამჯობინებდა საკუთარს, მაშინ სულ მთლად ეროვნული ნიჰილიზმით ყოფილან ჩვენი წინაპრები შეპყრობილნი. სიტყვა „საუცხოო“, ჩვენი აზრით, იმაზე მიგვანიშნებს, რომ ქართულ ხასიათში ძევს თავის მოწონება სხვათა თვალში, ისეთი რამის გაკეთება რომ სხვას მოეწონოს.

[6] ტ. XIV, გვ. 568.

[7] იქვე, გვ. 55.

ჩვენი ეროვნული ხასიათი, აკაკის შეხედულებით, იცვლებოდა როგორც საკუთარი ისტორიული ცვალებადობის, ისე გარესამყაროს ზეძოქმედებით. კერძოდ, „აღმოსავლეთიდან ერთი სენი შემოეპარა საქართველოს და ის თუ დააქცევს ჩვენ ქვეყანას, თვარა სხვა ვერაფერი!... ეს არის ის ყიზილბაშური მედიდურობა, რომელსაც განუწყვეტლად თან ახლავს სამი ვეზირი: შური, ჯიბრი და ბრაზი“.[1] მაგრამ გარეისტორიული სამყაროდან ქართველობას დადებითი თვისებების შეთვისებაც შეუძლია. აკაკი წერდა: „ქართველი, საზოგადოთ, ბუნება თანაზიარია და რაც უნახავს, ან გაუგონია, უყურადღებოთ არ დაუგდია: ყოველივე შეუსწავლია და საშვილიშვილოთ გადმოუცია საზეპიროებით“.[2]

ინგლისელების ხასიათის თაობაზე პოეტი აღნიშნავდა: „მე მომწონს იმათი ცნობის-მოყვარეობა და ხასიათი, რომ გარეშე არა ეუცხოებათ არა და ზიზღითა და დაცინვით არ უყურებენ სხვა ტომის ხალხს“.[3] გერმანელები კი მისი აზრით დარბაისელი და სიმართლის მოყვარულნი არიან.[4]

კიდევ მეტი, აკაკი შენიშნავდა ხასიათის განსხვავებულობას თვით ქართველთა შორისაც, სხვადასხვა ისტორიული კუთხეების მიხედვით. ცნობილია მისი „სამი ლექცია ვეფხვის-ტყაოსანზე“, რომლებიც აკაკიმ 1881 წელს წაიკითხა. თავისთავად, ჩვენი ეროვნული ხასიათის დიფერენცირებულობის აღნიშვნა მისაღებია და მეცნიერული, მაგრამ საკითხავია თუ რამდენად მართებულია აზრი XII საუკუნეში ამგვარი დიფერენცირებულობის შესახებ. თანაც ამ საკითხში არის ზღვარი, რომლის გადალახვა უარყოფით რეაქციას იწვევს.

შეგახსენებთ, რომ პოეტის მიხედვით, ტარიელი ანსახიერებდა ქართლელთა თვისებებს, ავთანდილი — იმერლობისას, ხოლო ფრიდონი (ასევე ფატმანიც) — ზღვისპირელებისას. ვიმეორებთ,

[1] თხზ., ტ. XIV, გვ. 201.

[2] იქვე, გვ. 255.

[3] იქვე, გვ. 377.

[4] იქვე, გვ. 141.

აკაკის თქმით „ქართულ ხმებსაც თავისი განსაკუთრებითი კილო აქვს, თავისი ეროვნული საიდუმლოება“ — „სულიკო“ დავაკვრე ვინოთ ჯერ უპირველეს მეფორტეპიანეს და მერე ბ-ნ ნ. ქართველიშვილს. პირველი აღტაცებაში მიგვიყვანს, მაგრამ მეორე, ქართველიშვილი, გულში გწვდებათ და გხიბლავს“;[1] „აი, სწორედ აქ მარხია ეროვნული საიდუმლოება და მისი ხელში დაჭერა შეუძლია მხოლოდ იმავე ერის შვილს“[2]. იგივეს თქმა შეიძლება მხატვრული ლიტერატურის თაობაზე: „ბ-ნი სუმბათაშვილი რომ ქართველი არ იყოს, „ღალატს“ ვერ დასწერდა“.[3]

მაგრამ არ უნდა წარმოვიდგინოთ, რომ აკაკის ქართული ეროვნული ხასიათი ყოველმხრივ უზადოდ მიაჩნდა, იგი ამასთანავე კრიტიკულიც იყო: „ქართველი, ისტორიულად მებრძოლი ხალხი, ხელდახელ პირდაპირობას არის ჩვეული და პირველი ბიჯი, სახელიო, სამერმისო საქმეზე ფიქრი კი ეჩოთირება“.[4] „ჩვენ, ქართველებს, ყოლიფერი გარეული მოგვწონს. სიტყვა „უცხო“, კარგს ნიშნავს „საუცხოვო“ საქებს. შინაური კი ცამდინაც რომ მაღალი იყოს, არაფრად მიგვაჩნია“.[5] ზემოთ ჩვენ მოვიტანეთ აკაკისეული აზრი ქართველთა მაღალ გრძნობა-გონებაზე, მაგრამ შემდეგ ვკითხულობთ: „მაგრამ ვაი, რომ ეს მათი (ე. ი. ჩვენი, ქართველების — გ. ყ.) უმაღლესი გრძნობა-გონება დღეს უკუღმართობაში გამოიხატება. ამ უკანასკნელ ხანებში არ გვეგულება სხვა ვინმე ხალხი, რომ ასე დაკნინებული იყოს და გადაუკუღმართებული, როგორც ქართველი“.[6] თუმცა „ჩვენში თითქმის ყველა ნიჭიერია, უნიჭო ანალგაზრდას იშვიათად შეხვდებით, მაგრამ რა გამოვიდა“.[7] ე. ი. აკაკის სწორი შეხედულებით, მხოლოდ ნიჭიერება ცალკეული ადამიანისა თუ მთელი ერისა როდია საკმარისი, ამასთანავე საჭიროა დიდი სიბეჯითე, შრომისმოყვარეობაც. აკაკისეული ეს შეგონება, ცხადია, დიდად აქტუალურია დღევანდელ ვითარებაშიც.

[1] თხზ., ტ. XIV, გვ. 454.

[2] იქვე.

[3] თხზ., ტ. XII, გვ. 454.

[4] იქვე, გვ. 463.

[5] იქვე, გვ. 468. ჩვენ ამ აზრს ვერ დავეთანხმებით. თუ ქართველობა ყველაფერ უცხოურს ამჯობინებდა საკუთარს, მაშინ სულ მთლად ეროვნული ნიჰილიზმით ყოფილან ჩვენი წინაპრები შეპყრობილნი. სიტყვა „საუცხოო“, ჩვენი აზრით, იმაზე მიგვანიშნებს, რომ ქართულ ხასიათში ძევს თავის მოწონება სხვათა თვალში, ისეთი რამის გაკეთება რომ სხვას მოეწონოს.

[6] ტ. XIV, გვ. 568.

[7] იქვე, გვ. 55.

ჩვენი ეროვნული ხასიათი, აკაკის შეხედულებით, იცვლებოდა როგორც საკუთარი ისტორიული ცვალებადობის, ისე გარესამყაროს ზეძოქმედებით. კერძოდ, „აღმოსავლეთიდან ერთი სენი შემოეპარა საქართველოს და ის თუ დააქცევს ჩვენ ქვეყანას, თვარა სხვა ვერაფერი!... ეს არის ის ყიზილბაშური მედიდურობა, რომელსაც განუწყვეტლად თან ახლავს სამი ვეზირი: შური, ჯიბრი და ბრაზი“.[1] მაგრამ გარეისტორიული სამყაროდან ქართველობას დადებითი თვისებების შეთვისებაც შეუძლია. აკაკი წერდა: „ქართველი, საზოგადოთ, ბუნება თანაზიარია და რაც უნახავს, ან გაუგონია, უყურადღებოთ არ დაუგდია: ყოველივე შეუსწავლია და საშვილიშვილოთ გადმოუცია საზეპიროებით“.[2]

ინგლისელების ხასიათის თაობაზე პოეტი აღნიშნავდა: „მე მომწონს იმათი ცნობის-მოყვარეობა და ხასიათი, რომ გარეშე არა ეუცხოებათ არა და ზიზღითა და დაცინვით არ უყურებენ სხვა ტომის ხალხს“.[3] გერმანელები კი მისი აზრით დარბაისელი და სიმართლის მოყვარულნი არიან.[4]

კიდევ მეტი, აკაკი შენიშნავდა ხასიათის განსხვავებულობას თვით ქართველთა შორისაც, სხვადასხვა ისტორიული კუთხეების მიხედვით. ცნობილია მისი „სამი ლექცია ვეფხვის-ტყაოსანზე“, რომლებიც აკაკიმ 1881 წელს წაიკითხა. თავისთავად, ჩვენი ეროვნული ხასიათის დიფერენცირებულობის აღნიშვნა მისაღებია და მეცნიერული, მაგრამ საკითხავია თუ რამდენად მართებულია აზრი XII საუკუნეში ამგვარი დიფერენცირებულობის შესახებ. თანაც ამ საკითხში არის ზღვარი, რომლის გადალახვა უარყოფით რეაქციას იწვევს.

შეგახსენებთ, რომ პოეტის მიხედვით, ტარიელი ანსახიერებდა ქართლელთა თვისებებს, ავთანდილი — იმერლობისას, ხოლო ფრიდონი (ასევე ფატმანიც) — ზღვისპირელებისას. ვიმეორებთ,

[1] თხზ., ტ. XIV, გვ. 201.

[2] იქვე, გვ. 255.

[3] იქვე, გვ. 377.

[4] იქვე, გვ. 141.

ლი მეხსიერება და ხსოვნა წაერთმია. აკაკი აღნიშნავდა: „როცა ერთი რომელიმე ერი იბრიყვებს მეორეს და იმონებს, სცდილობს, რომ წარსული დაავიწყოს: უქარწყლებს ისტორიულ ნაშთებს, უნგრევს ციხე-დარბაზებს, უბღალავს ტაძრებს, ჰმუსრავს ნახატებს, უკრძალავს დედა ენას და სხვანი".[1] უფრო კონკრეტულად: „ასე მოქმედებდნენ ჩინეთის ყაენები, ლანგ-თემურები და სხვანი. ამავე გზას ადგიან დღევანდელი მპყრობელებიც. ასეთია იმათი უსამართლო, საბატონო პოლიტიკა!"[2] ადრესატი"![2] რასაკვირველია, ძალიან ნიშანდობლივი იყო.

ამ შემთხვევაში ყველაფერი ნათელია და ლოგიკური — დამპყრობლის მხრივ სხვაგვარი შეგნება და ქცევა გამორიცხულია. მაგრამ დღემდე აუხსნელი რჩება საერთოდ ქართული სოციალ-დემოკრატიის ორივე ფრთის ეროვნული ნიჰილიზმი. კლასობრივი პოზიციიდან ანდა ოდნავ წიგნიერი მარქსიზმის მიხედვით ამის (გერმანელები რომ ჩვენს მდგომარეობაში ყოფილიყვნენ, იქაური მარქსისტები განა ქართველ სოციალ-დემოკრატებსავით მოიქცეოდნენ?) ახსნა შეუძლებელია. ისინი იმთავითვე ამოეფარნენ ინტერნაციონალიზმის დროშას, მაგრამ ინტერნაციონალიზმი ხომ ერთა, ხალხთა შორის ჯანსაღ, ურთიერთპატივისცემაზე დამყარებულ ურთიერთობას და შესაბამის შეგნებასა და ქცევას გულისხმობს. თუ კაცობრიობის თითოეულმა ნაწილმა (ხალხმა) უარყო თავისი ეთნოსი, მაშინ რა ფასეულობას უნდა წარმოადგენდეს ამგვარად გაგებული ინტერნაციონალიზმი? ამდენად, ინტერნაციონალიზმი თავის თავში აუცილებლობით გულისხმობს პატრიოტიზმს.

1908 წელს აკაკი წერდა: „ვინც თავის გვარტომობას უარჰყოფს, ის ვეღარც სხვებს გამოადგება, უვარგისი იქნება შინაც და გარეთაც. გიყვარდესთ თქვენი ქართველობა, მაგრამ შოვინისტუტურის გრძნობით კი არა, ესე იგი რომ სხვისი დაკლებით რამე შესძინოთ თქვენს ეროვნებას. არა! იმ სიყვარულით, რომელსაც სარჩულად უნდა ედვას ძმობის, ერთობის და სიყვარულის სურვილი".[3] ერთი წლის შემდეგ პარიზში პოეტი ქართველ სტუდენტობას მიმართავდა: „ნურავინ იტყვის იმას, რომ არის კაცობრიობა და არა

[1] თხზ., ტ. XI, გვ. 326.
[2] იქვე, გვ. 326—327.
[3] თხზ., ტ. XIV, გვ. 342.

ნაციაო, ეროვნებაო და მეც მინდა, რომ პირდაპირ კაცობრიობას ვემსახუროო!"[1]; „ფერადოვანი კაცობრიობა სხვადასხვა ნაციის, ეროვნებისაგან არის შემდგარი და თვითეულმა მათგანმა თავისი საკუთარი ელფერი და საკუთარი „რამეობა" უნდა შეიტანოს, რომ აივსოს საკაცობრიო ზღვა!"[2] ეს მხოლოდ განყენებული აზროვნების სფერო როდია, აქედან გამომდინარეობს თითოეული პიროვნების სამოქმედო პროგრამაც. კერძოდ „თვითეულ კაცს, თავის ნაციასთან თანშეზრდილს, უფრო ნაყოფიერად შეუძლიან იმუშაოს სამშობლოში, ვიდრე გარეთ. და მართლაც, ვისაც თავისი საკუთარი მშობელი არ უყვარს, იმას შეუძლია მშობლად სხვა შეიყვაროს? ვინც სამშობლოს არ ემსახურება, იმას შეუძლია, რომ უკეთ სადმე გარეთ იმსახუროს?".[3] ამდენად კარგია ინტერნაციონალიზმი, მაგრამ არანაკლებ მიმზიდველია პატრიოტიზმი. ამის თაობაზე კი იგი წერდა: „როდესაც კაცს ქალი უყვარს, თუ მართლა ნამდვილ-გრძნობით არის გამსჭვალული, მისთვის ტანჯვა ნეტარებათ მიაჩნია და ნუ თუ ქალზე უფრო მაღლა სამშობლო არა დგას?!"[4]

ცხადია, აკაკი შორს იდგა გაუკუღმართებული ნაციონალიზმისაგან, რომელიც შოვინიზმს წარმოადგენს. მაგრამ არანაკლებ დასაგმობია კოსმოპოლიტიზმი. იგი წერდა: „შოვინისტობა ესე იგი, საშობლოს უკუღმართი სიყვარული, როცა იმას ანაცვალებენ სხვების კეთილდღეობასა და ბედნიერებას, საძაგლობაა, მაგრამ ერთი ათასად უფრო საზიზღრობაა, თავის ქვეყნისთვის სამშობლოს გარეწრობა".[5]

აკაკის საღი ალღო უკარნახებდა მასაც, რომ დაპყრობილ

[1] თხზ., ტ. XIV, გვ. 346.
[2] იქვე.
[3] თხზ., ტ. XIII, გვ. 346—347.
[4] კომუნისტები, როგორც ცნობილია, ძალიან ხმამაღლა გაპყვიროდნენ ინტერნაციონალიზმს, რომელიც თვით სიტყვის ელემენტარული ეტიმოლოგიიდან გამომდინარე ხალხებს, ერებს შორის ურთიერთობას გულისხმობს. მაგრამ უპირველესად რუსი კომუნისტების მიხედვით „ინტერნაციონალიზმში" მხოლოდ მუშათა კლასებს შორის ურთიერთობები იგულისხმება. შესაბამისად დავიწყებული იყო ერთა შორის ურთიერთობანი და მხოლოდ პროლეტარულ ინტერნაციონალიზმზე ლაპარაკობდნენ (განა რაიმე გამართლება ექნებოდა ანალოგიურად ბურჟუაზიულ, ფეოდალურ, ანტიკურ და ა. შ. ინტერნაციონალიზმზე საუბარს?!).
[5] თხზ., ტ. XIV, გვ. 523.

ქართველობას კონსოლიდაცია სჭირდებოდა. თუ „კვალის“ პუბლიკაციის მიხედვით „წარსულში ყველაფერი, და სხვათა შორის ეროვნული მოძრაობა და იდეოლოგია ბატონ-ყმობის გამტკიცება და გამოხატულება იყო“,[1] აკაკი სპირიდონოვს დასძენდა: „ეროვნულ იდეაზე ვიტყვით, რომ ეს იდეა კი არ არღვევდა, ამტკიცებდა ბატონ-ყმობას, და პატარა ერის „სულის კვეთებას“ რეალურ მიზნათ ჰქონდა გარეშე მჩაგვრელების მოშორება“.[2] 1908 წელს დაწერილ ლექსში კი აკაკი მჩაგვრელთა წინაშე დაჩაგრული ქართველობის გაერთიანების საჭიროებაზე ასე წერდა:

„სანამ მტერი ჩვენ გარეშე
სასიკვდილოდ გვემუქრება,
შინაური ბრძოლა არის
უსუსური უგნურება“...
„და დღევანდელ ქართველებს კი
აღარა აქვსთ ეს შეგნება
და სასკვითოდ გარდაქმნიათ
მათი გრძნობა და გონება“.[3]

აკაკის თქმით, ასევე უნდა ყოფილიყო მანამ, სანამ საქართველო გათავისუფლდებოდა. ამნაირადვე ფიქრობდნენ ილია, იაკობ გოგებაშვილი და სხვები, მაგრამ ქართველი სოციალ-დემოკრატებისათვის აღნიშნული აზრი, პოზიცია გაუგებარი აღმოჩნდა.

ზ. ვაჟა-ფშაველა ერის რაობის შესახებ

ვაჟასაც, ისევე როგორც მის წინამორბედებს, გაბმული, სისტემატური თხრობა არ ჰქონია ერის არსზე, მის ცალკეულ ნიშან-თვისებებზე, მაგრამ მის ნაწერებში გაბნეულია ცალკე აზრები, რომლებიც ნათელს ჰფენს მის შეხედულებას საკითხზე. ერის ნიშან-თვისებათა ერთობლიობის თაობაზე ერთგან ვკითხულობთ: „დედა-ენა, ტერიტორია, ისტორიული იდეალები საუკუნო შემაერთებული ელემენტია „ეროვნებისა“[1] და დასძენდა: „ნაციონალისტები ყველა ამის დაცვაში ჰხედავენ[1] ერის ბედნიერებას და ნურას უკაცრავად, თუ სხვა იდეალებზე ჯერჯერობით სდუმან“[2]. სხვა ადგილას აღნიშნავს დედა-ენას, ისტორიულ წარსულს, სახელოვან მოღვაწეებს, ეროვნულ ტერიტორიას, მწერლობას და სხვ.,[3] მიუთითებს რასის ფაქტორსაც („ანთროპოლოგია მაინც პოულობს ამ განსხვავებათა მოდგმის ერთა შორის“ და იქვე გახაზავს თავის ქალის ძოყვანილობას, ე. ი. კოანიოლოგიურ მომენტს).[4] ვაჟას მიერ ერთგან აღნიშნულია „ეროვნული თვით შეგნება“[4] („გაძლიერება კი ჩვენი ყოვლად შეუძლებელია, თუ ეროვნულს თვით შეგნებას დავკარგავთ“)[5]. სხვაგან ქართველობის მიმართ იგი ასე ამბობდა: „თავის თავის მცნობელი, თავის თავისა და კარგის მგრძნობელი“, ე. ი. გულისხმობს ეროვნულ თვითშეგნებას.

აღნიშნულ ნიშან-თვისებათაგან ვაჟა ყველაზე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა დედა-ენას („დედა-ენა ისეთი კუთვნილებაა ერისა, რომ თუ იმას დასთმობს ერი, სხვა ყველაფერსაც უგულებელყოფს, ტერიტორიაზედაც ხელს აიღებს“[6]. ამ გარემოებას ერის დიდი ნაწილი, ვაჟას მიხედვით, თეორიულად ვერ აცნობიერებს, მაგრამ ინსტინქტურად კი გრძნობს — მაგალითად როცა რიგითი წარმომადგენელი ისმენს მშობლიურ ენას თუნდაც უღირსი თანამემამულისაგან[7]. ცხადია, დედა-ენის მნიშვნელობა უკეთ ესმის ინტელიგენციას[3], ყველაზე მეტად კი მწერლებს ხელეწიფებათ „ენის სულისა და გულის შეგნება; ამ შეგნებისათვის კი საჭიროა ის ღირსება და მადლი, რომ თვით მწერალს უცემდეს ქართულად გული და მაჯა. ამისთანეები სიტყვაკაზმულ ნაწარმოების ავტორთა შორის უნდა ვეძიოთ“[8]. თავის მხრივ ენის შემოქმედია მთელი ერი („ერი უპირ-

[1] გაზ. „კვალი“, მცირე შენიშვნა, №33, 1903.

[2] პირველად ეს სტატია აკაკიმ დაბეჭდა გაზ. „კვალის“ 1903 წლის მომდევნო ნომერში.

[3] თხზ., ტ. III, გვ. 271.

[1] „ეროვნება“ აქ ნახმარია ერის, ხალხის მნიშვნელობით.

[2] ვაჟა-ფშაველა. თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. IX, გვ. 455.

[3] იქვე.

[4] იქვე, გვ. 253.

[5] იქვე, გვ. 466.

[6] იქვე, გვ. 301.

[7] იქვე, გვ. 455.

[8] იქვე.

[9] იქვე.